შპს დიკა

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2024 წლის 31 დეკემბერს

სკანირებულია CamScanner-ით

შინაარსი:

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ.....3
ანგარიშგება სრული შემოსავლების შესახებ.....5
ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ.....5
ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ.....7
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:
1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....8
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი 8
3. ძირითადი საშუალებები.....8
4. არამატერიალური აქტივები 9
5. თჯარა 10
6. სასაქონლო მატერიალური მარაგები 10
7. სავაჭრო ვალდებულებები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 10
8. სესხები 11
9. უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება 11
10. ამონაგების აღიარება 11
11. მოგების გადასახადი 11
12. კაპიტალის მართვა 12
13. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები.....13
14. პერსონალთან დაკავშირებული ხარჯები 13
15. ხარჯად აღიარება.....13
16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტები.....13
17. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.....13
18. ფინანსური ანგარიშგებები.....14

სკანირებულია CamScanner-ით

შპს ,,დიკა“

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2024**	**31/12/2023**	**31/12/2022**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2180	432	6545
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	27023	28597	7896
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	499	1663	598
მარაგები	13113	3388	4192
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	13113	3388	4192
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	1346668	1428604	698474
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	**1389483**	**1462684**	**717705**
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0

სკანირებულია CamScanner-ით

სავაჭრო ვალდებულებები	32475	19322	25018
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	12835	0	1770
საგადასახადო ვალდებულებები	23081	19210	13613
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	474131	435093	429200
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	162710	95628	28264
სულ ვალდებულებები	**705232**	**569253**	**497865**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	682000	682000	277000
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-413530	-131535	-59147
გადაფასების რეზერვი	415781	342966	1987
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	684251	893431	219840
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**1389483**	**1462684**	**717705**
სულ მოკლევადიანი აქტივები	42815	34080	19231
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	68392	38532	40401
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	1346668	1428604	698474

დირექტორი: კ. კუხიანიძე

სკანირებულია CamScanner-ით

შპს „დიკა“

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

საქმიანობის შედეგები	**31/12/2024**	**31/12/2023**
ნეტო ამონაგები	**347486**	**298414**
საქონლის გაყიდვიდან	7073	515
მომსახურების გაწევიდან	308888	268594
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა (იჯარა)	31525	29305
გაყიდვების თვითღირებულება	**-135130**	**-73675**
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	**212356**	**224739**
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	125
დასაქმებულთა ანაზღაურება	-196534	-110183
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-170740	-78198
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-67082	-67364
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-57578	-40784
სულ საოპერაციო ხარჯები	**-491934**	**-296404**
საოპერაციო მოგება	**-279578**	**-71665**
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-2417	-538
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-281995	-72203
მოგების გადასახადის ხარჯი	0	-185
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	**-281995**	**-72388**
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	72815	340979
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0

სკანირებულია CamScanner-ით

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	72815	340979
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-209180	268591
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	893431	219840
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	405000
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**684251**	**893431**

დირექტორი: კ. კუხიანიძე

სკანირებულია CamScanner-ით

შპს ,,დიკა"

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2024**	**31/12/2023**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-21173	56427
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-16117	-68432
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	39038	5892
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	**1748**	**-6113**
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	432	6545
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**2180**	**432**

დირექტორი: კ. კუხიანიძე

სკანირებულია CamScanner-ით

1. კომპანიის შესახებ

შპს „დიკა“ (შემდეგ - კომპანია), წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 1998 წლის 28 ივლისს საიდენტიფიკაციო ნომრით 221268483. კომპანიის იურიდიული მისამართი და ძირითადი საქმიანობის ადგილი არის: საქართველო, ქ.წყალტუბო, შანიძის ქუჩა. №2. მისი ძირითადი საქმიანობაა: ტექსტილის და ბეწვეულის პროდუქციის რეცხვა და ქიმწმენდა, კოდით - 96010 და დამატებითი საქმიანობაა: საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები, კოდით - 68209.

კომპანიის 55%-იანი წილის მფლობელია: შპს ბალნეო სარეაბილიტაციო ცენტრი (221286043), რომელიც 2024წლის 11ნოემბერს შეერწყა შპს სანატორიუმი წყალტუბოს (221273967), რეორგანიზაციის შედეგად; ხოლო კომპანიის 45%–იანი წილის მფლობელია: შპს ბ და ნ ინვესტ (404636499). კომპანიის დირექტორია კახაბერ კუხიანიძე.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე და ასევე, ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საზოგადოება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები. ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა მითითებულია აკუმულირებული ამორტიზაციის გამოკლებით. მცირე საექსპლუატაციო რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება.

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შე-საძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შესაბამისად, მოხდება ძირითადი საშუალებების გადაფასებაც და რეალური საბაზრო ღირებულებით აღიარება.

ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების

სკანირებულია CamScanner-ით

აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყველა ძირითადი საშუალებებზე წლიური ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

- შენობები და ნაგებობები 10 - 70 წელი
- მანქანა დანადგარები 3 - 50 წელი
- ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი 2 - 30 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 5 - 20 წელი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

კომპანიის ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებების ბალანსიდან მოხსნა ხდება, როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით და აღიარდება მოგება ზარალში.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს. ცალკე ანგარიშზე აისახება არამატერიალური აქტივები, რომელიც შედგება ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამებისაგან და სხვა არამატერიალური აქტივებისგან. კომპიუტერულ პროგრამებზე ცვეთა დარიცხულია სასარგებლო გამოყენების ვადის გათვალისწინებით წრფივი მეთოდის გამოყენებით. მათზე ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირა

- კომპიუტერული პროგრამები 5-15 წელი

ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სკანირებულია CamScanner-ით

აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი,
შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

იჯარა. იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. მეიჯარე საწარმო იჯარისას პრაქტიკულად არ გადასცემს ყველა რისკს და სარგებელს საკუთრების გადაცემის უფლებასთან დაკავშირებით. მოიჯარის მიერ, სრული საიჯარო გადასახადი აისახება წლის მოგება-ზარალში წრფივი დარიცხვის მეთოდით მთელი საიჯარო პერიოდის მანძილზე, ხოლო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება თანაბარზომიერად, იჯარის მთელი ვადის განმავლობაში და მიეკუთვნება ძირითადი საშუალებიდან მიღებულ საიჯარო შემოსავლებს.

იჯარა არის შეუქცევადი, რომლის დროსაც მოიჯარე დაკავშირებულია აქტივის ფლობასთან და მომავალ პირობებთან, რომლის მიხედვითაც მოიჯარეს აქვს შესაძლებლობა გააგრძელოს იჯარის ხანგრძლივობა მომავალი გადასახდელების არსებობის ან არარსებობის შემთხვევაში, როდესაც იჯარის დაწყებისას მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ ვარიანტს.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად.

სავაჭრო ვალდებულებები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. საქონელზე ან მომსახურებებზე სავაჭრო ურთიერთობების განხორციელებისას კონტრაგენტი საბალანსო ანგარიშებში ფორმირდება გადახდილი ან გადასახდელი ღირებულების ფორმის შესაბამისად დებიტორად ან კრედიტორად, თუმცა განგრძობადი ურთიერთობის შემდგომ არ ხდება მისი საბალანსო მდგომარეობის შეცვლა და შესაბამისად აღნიშნულ ანგარიშებზე შესაძლოა წარმოიშვას უარყოფითი ნაშთი.

დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.
ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნა-ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი ან გადასახდელი. ამგვარი

სკანირებულია CamScanner-ით

მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

სესხები. სესხები აღირიცხება თვითღირებულებით. კომპანია სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან.
უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება–ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.
ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

1აშშ დოლარი / 2.8068 ლარი
1 ევრო / 2.9306 ლარი

ამონაგების აღიარება. კომპანიაში შემოსავლების აღრიცხვა ხდება არსებული სეგმენტებიდან ელექტრონული პროგრამების მონაცემების მიხედვით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ყოველდღიურად, დარიცხვის მეთოდით. ამონაგები მოიცავს მხოლოდ საზოგადოების მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საზოგადოებაში.

მოგების გადასახადი. 2016 წლის მაისში საქართველოს საგადასახადო კანონში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა,

სკანირებულია CamScanner-ით

სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა (ეს თარიღი შემდგომში გადავადდა 2023 წლამდე).

ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში.

დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, მოგების გადასახადის არა ახალი რეჟიმით დაბეგვრადი ურთიერთდამოკიდებულ პირთან არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები" მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად. ზემოდ აღწერილი გარემოებებით მსს ფასს სტანდარტზე გადასვლას არ გამოუწვევია ფინანსური ანგარიშგების შესადარის მაჩვენებლებში ცვლილებები. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

კაპიტალის მართვა. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, რომელიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

პერსონალთან დაკავშირებული ხარჯები. ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი დარიცხულია იმ პერიოდში, როდესაც მოხდა კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევა.

სკანირებულია CamScanner-ით

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები. ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებულია რისკების მართვის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას. კომპანიაში დანერგილია შიდა კონტროლის მექანიზმები, რითიც ვახორციელებთ გარკვეულ რისკებთან დაკავშირებულ პრევენციას და კონტროლს. კვალიფიციური კადრების შერჩევისთვის მოქმედებს სისტემა, რომელიც რამოდენიმე ეტაპადაა დაყოფილი: 1) ვაკანსიის გამოცხადება; 2) პირველადი შერჩევა CV-ს საშუალებით; 3) გასაუბრება; 4) შერჩეული კანდიდატების აყვანა გამოსაცდელი ვადით. მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგ ხდება კომპანიის შტატიანი თანამშრომელი. არსებული პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად ხდება სხვადასხვა ტრეინინგი/სემინარების საშუალებით. თითოეულ თანამშრომელს გაწერილი აქვს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები და ანგარიშვალდებულია მის უშუალო ხელმძღვანელთან. შესაბამისად ყველა არასტანდარტული შემთხვევა თანხმდება მასთან.

შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც გამოიყენება შეცდომით გამოწვეული უზუსტობების აღმოსაჩენად, პრევენციისა და შესამცირებლად, არის შემდეგი:

1) ნაღდი ფულის მოძრაობის და სალაროს ნაშთების მინიმუმამდე დაყვანა. ასევე სალაროს ნაშთების პერიოდული გადამოწმება;
2) რეალიზაციის შემთხვევაში ფასების ცვლილების აკრძალვა საცალო ინტერფეისში და გაყიდვების მენეჯერების მომხმარებლებისთვის;
3) ფინანსური მენეჯერის მხრიდან სპეციალური რეპორტებით კონტროლი სხვადასხვა ჭრილში. მაგ. თვითღირებულებაზე დაბალი ფასით ან დაბალი მარჟით გაყიდვების შემთხვევების გადამოწმება; მაღალი ფასით პროდუქციის შეძენის შემთხვევების გადამოწმება საკონტროლო შესყიდვებით ან ბაზრის წინასწარი შესწავლის გზით;
4) მარაგების პერიოდული ინვენტარიზაციები;
5) დებიტორ-კრედიტორებთან მოთხოვნა-ვალდებულებების კონტროლი; დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხარჯად აღიარება. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები. კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ

სკანირებულია CamScanner-ით

ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

2023; 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
მარაგები	**13113.15**	**3388.23**
_საქონელი	1520.42	1660.93
_ნედლეული და მასალები	10023.95	903.67
_სხვა მარაგები	1568.78	823.63

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2023; 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
სულ მოთხოვნები	**27522.14**	**30259.59**
_სავაჭრო მოთხოვნები	27023.08	28596.87
_გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	499.06	1662.72

5. ფული და ფულის ექვივალენტები

2023; 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
ფული და ფულის ექვივალენტები	**2179.84**	**432.2**
_ფული ბანკში	46.87	393.33
_ფული სალაროში	2132.97	38.87

კომპანიის ფული ბანკში განთავსებულია სს საქართველოს ბანკის საბანკო ანგარიშებზე.

სკანირებულია CamScanner-ით

6. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან

2023; 2024 წლების 31დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის შემოსავალი არის შემდეგი:

	2024	2023
სულ შემოსავალი	**347486.21**	**298414.11**
_შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	7072.59	515.24
_შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	340413.62	297898.869

7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

2023; 2024 წლების 31 დეკემბრის მდომარეობით ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები არის შემდეგი:

	2024	2023
სულ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	**559983.1**	**302840.65**
_გამოყენებული ნედლეული და მასალები	62281.32	18062.66
_დასაქმებულთა ანაზღაურება	196534.49	110183.42
_ცვეთა და ამორტიზაცია	170740.34	78198.05
_სოციალური დანარიცხები	1825.74	1010.5
_საწვავის ხარჯი	5947.17	4877.2
_საკონსულტაციო ხარჯები	11540.71	9322.06
_იჯარის ხარჯი	0	0
_კომუნალური ხარჯები	72848.21	55611.88
_რემონტის ხარჯები	1622.87	6145.15
_სხვა საგადასახადო ხარჯი (ქონება)	14852.12	11643.06
_სხვა საოპერაციო ხარჯი	21790.13	7786.67

8. ძირითადი საშუალებები

2023; 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების საბალანსო ნაშთი არის შემდეგი:

	2024	2023
ძირითადი საშუალებები	**1346667.4**	**1428603.8**
მიწა	6380	6380
შენობა-ნაგებობები	1087152.5	1198212.5
მანქანა-დანადგარები	208324.9	183883.54
სატრანსპორტო საშუალებები	23751.05	17598.64
სხვა ძრითადი საშუალებები	21058.99	22529.12
არამატერიალური აქტივები	0	0

სკანირებულია CamScanner-ით

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2023; 2024 წლების 31დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის შემდეგი:

	2024	2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**705231.86**	**569252.57**
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	32475.31	19322.35
მიღებული სესხები	474130.8	435092.6
მიღებული ავანსი და დარიცხული ვალდებულებები	162709.54	95628.04
საგადასახადო ვალდებულებები	23081.21	19209.58
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	12835	0

10. კაპიტალის სტრუქტურა და ცვლილება

2023; 2024 წლების 31დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალის სტრუქტურა არის შემდეგი:

	2024	2023
კაპიტალის სტრუქტურა და ცვლილება	**684250.71**	**893431.25**
საწესდებო კაპიტალი	682000	682000
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	(413,530.43)	(131,534.57)
გადაფასების რეზერვი	415781.14	342965.82

11. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

2023; 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები არის შემდეგი:

	2024	2023
არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	**-71916.44**	**-67961.4**
არასაოპერაციო შემოსავლები	0	125.33
არასაოპერაციო ხარჯები	71916.44	68086.73

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება. დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 10 სექტემბერს.

სკანირებულია CamScanner-ით